საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #13

25 ივლისი 11.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი.ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი,
ლ. არველაძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე, მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრები.

ქალაქ თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძე, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი დავით ასანიძე.

„სითი ინსტიტუტ საქართველოს“ ხელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძე, ინსტიტუტის წარმომადგენელი გოგი აბაშიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03181862-03)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი საკრებულოს დეპუტატებს „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ ხელმძღვანელმა მერაბ ბოლქვაძემ წარუდგინა.

მერაბ ბოლქვაძის განმარტებით გენგეგმის ძირითადი მახასიათებელია თბილისის განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით. ესენია: კომპაქტური, კარგად შეკავშირებული, მწვანე და მედეგი ქალაქი.

ძალიან მნიშვნელოვანია დაცული იყოს ქალაქის კომპაქტურობის, ასევე, ლანდშაფტური, მწვანე არეალების ერთიანი განვითარების პრინციპი. მერაბ ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ არსებული გენგეგმის პროექტის თანახმად და მისი პრინციპების გათვალისწინებით შვიდი საქალაქო პარკის გაშენება იგეგმება.

განხილვის დროს დიდი ყურადღება დაეთმო ქალაქის სატრანსპორტო, ასევე პოლიცენტრულ განვითარებას. გენერალური გეგმის თანახმად, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა განვითარდეს, რაც დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვას შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, უნდა შეიქმნას საფეხმავლო სივრცეები და მოხდეს პარკირების რანჟირება.

რაც შეეხება ქ.თბილისის პოლიცენტრულ განვითარებას, მერაბ ბოლქვაძის განმარტებით დედაქალაქის ცენტრის განსატვირთავად აუცილებელია მისი თანაბარი განვითარება, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა ის ობიექტი, თუ სერვისი, რისი მიღებაც მოსახლეობას ცენტრალურ ქუჩებზე შეუძლიათ, გარეუბნებშიც უნდა არსებობდეს. როგორც მერაბ ბოლქვაძემ განაცხადა, გენერალური გეგმის პროექტის თანახმად თბილისში ხუთი პოლიცენტრული არეალი უნდა შეიქმნას.

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი ასპექტების პრეზენტაციის შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

საკრებულოს დეპუტატებმა „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ კითხვები დაუსვეს, რომლებიც ძირითადად ეხებოდა განაშენიანების რეგულირების წესებს,

ზონირების საკითხებს. საჭიროა პროექტში არსებული ტექნიკური ხარვეზების შესწორება.

სამი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განცხადება გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი ტყემალაძემ. მან „სითი ინსტიტუტ საქართველოს“ და თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს გაწეული შრომისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტი არის საკმაოდ მრავლისმომცველი, მნიშვნელოვანი დოკუმენტი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია მისი სრულად გაანალიზება. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, დოკუმენტის საჯარო და კომისიურ ფორმატებში განხილვა კვლავ გაგრძელდება.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია